COORDINATED ACTION OF VARIOUS INFLUENTIAL FORCES OF RUSSIA IN THE CONTEXT OF REGIONAL AND GLOBAL SECURITY

რუსეთის სხვადასხვა გავლენიანი ძალების კოორდინირებული მოქმედება რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში

PETRE GELASHVILI
LEPL David Agmashenebeli National Defence Academy of Georgia
Assistant professor of the of the Bachelor Program of Defense and Security,
3rd km, Tskhinvali Highway, Gori, Georgia.
+995 599 505161, pvgelashvili@gmail.com
https://orcid.org/0009-0005-1558-0321

Abstract

As historical experience demonstrates, the generation of new systems of international relations (Westphalian, Viennese, Versailles-Washington, Yalta-Potsdam) has primarily occurred against the backdrop of global military conflicts and has finally taken shape after their completion. In this regard, it is noteworthy that with the collapse of the Soviet Union, the Yalta-Potsdam system effectively ceased to exist, and over the past few decades, we have been witnessing a prolonged process of the formation of a new world order.

The aim of this study is to demonstrate that various influential forces within the country—including the public and private sectors, intelligence agencies, the criminal underworld, and representatives of business and religious circles—are involved in the implementation of Russia's foreign policy and operate in a coordinated manner. An analysis of policy forms and methods that deviate from principles of justice and ethics suggests that this approach poses a threat at both local and global levels. It undermines national interests, primarily in post-Soviet countries (including signatories of the Warsaw Pact) and, subsequently, in developed states such as the United States, the United Kingdom, Israel, and European nations, including EU member states.

The article analyzes scientific literature, including books, journal articles, and textbooks, as well as investigative materials and electronic media publications

Based on the analysis of the materials and facts presented in the article, it is concluded that local conflicts in the post-Soviet space and the Middle East have the potential to escalate into a global confrontation. In this context, Putin seeks to portray the invasion of Ukraine as a broader conflict with the Collective West. Ultimately, these conflicts will reach a resolution, shaping the emergence of a new world order.

Key words: Russian Policy; Security; Intelligence Agencies; Conflicts.

პეტრე გელაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია,
თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის ასისტენტ-პროფესორი,
გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ. საქართველო
+995 599 505161, pvgelashvili@gmail.com
https://orcid.org/0009-0005-1558-0321

აბსტრაქტი

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემების (ვესტფალიის, ვენის, ვერსალი-ვაშინგტონის, იალტა-პოტსდამის) გენერირება ძირითადად ხდებოდა გლობალური სამხედრო კონფლიქტების ფონზე და საბოლოოდ

ყალიბდებოდა მათი დასრულების შემდეგ. ამ კუთხით ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით იალტა-პოტსდამის სისტემამ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა და ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენ რეალურად ვართ ახალი მსოფლიო წესრიგის დაბადების საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის მოწმენი.

კვლევის მიზანია იმის წარმოჩენა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულია ქვეყანაში არსებული სხვადასხვა გავლენიანი ძალები (ჯგუფები): საჯარო და კერძო სექტორები, სპეცსამსახურები, კრიმინალური სამყარო, ბიზნესისა და რელიგიური წრეების წარმომადგენლები, რომლებიც კოორდინირებულად მოქმედებენ. ამ სამართლიანობისა და ეთიკის ნორმებს აცდენილი პოლიტიკის ფორმებისა და მეთოდების ანალიზიდან გამომდინარე, უნდა ვივარიდოთ, რომ იგი საფრთხის შემცველია როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე და ძირს უთხრის ეროვნულ ინტერესებს უპირველესად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების (ვარშავის პაქტის ხელმომწერების ჩათვლით), შემდგომ კი ისეთი განვითარებული სახელმწიფოებისა როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ევროპის, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სუბიექტები.

სტატიაში განხილულია სამეცნიერო ნაშრომები: წიგნები, სტატიები, სახელმძღვანელოები, აგრეთვე გამოძიების მასალები და ელექტრონული მედიაპუბლიკაციები.

სტატიაში წარმოდგენილი მასალებისა და ფაქტების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ლოკალური კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა გლობალურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ამ პროცესების ხსენებულ რაკურსში დემონსტრაციას ცდილობს პუტინი და უკრაინაში შეჭრას წარმოაჩენს, როგორც კოლექტიურ დასავლეთთან დაპირისპირებას. ასე თუ ისე ეს კონფლიქტები ადრე თუ გვიან დასრულდება და ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი.

საძიებო სიტყვები: რუსეთის პოლიტიკა; უსაფრთხოება; სპეცსამსახურები; კონფლიქტები.

შესავალი

რუსეთის თანამედროვე პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ერთგვარი სიმბიოზი ოფიციალურ უწყებებს, კერძო სექტორს, საეჭვო ან აშკარად კრიმინალური რეპუტაციის დაჯგუფებებს და რელიგიურ წრეებს შორის, რომლებიც საერთო მიზნებს ემსახურებიან და კოორდინირებულად მოქმედებენ, რაც გენერალ გერასიმოვის ცნობილ დოქტრინასთან ერთგვარ თანხვედრას წარმოადგენს (Валерий, 2013) (Gelashvili, 2022) (Gelashvili, Impact of Cultural Civilization Component on National Security and Geopolitical Stability Examplified by Ethnic Minorities of Georgia, 2024) აღსანიშნავია რომ ამ კოორდინირებული ძალების მართვის ვერტიკალის სათავეებთან სპეცსამსახურები დგანან, რომელთა შორის მუდმივ კონკურენციაში მყოფი ***უშიშროების ფედერალური სამსახური (ФСБ)*** და ***თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველო (ГРУ)*** დომინირებენ (პუტინის „კაგებეშნიკური“ წარსულიდან გამომდინარე პრივილიგირებულ მდგომარეობაში უფრო ***ФСБ*** იმყოფება). რუსული რბილი ძალის მკვლევარების მონაცემებით კიბერშეტევების განხორციელებაში, ყალბი ახალი ამბების შექმნა-გავრცელებასა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების სხვა ფორმის ღონისძიებებში აქტიურად არიან ასევე ჩართული ***საგარეო დაზვერვის სამმართველო (СВР)***, ***დაცვის ფედერალური სამსახური (ФСО)*** და ***საგარეო საქმეთა სამინისტრო.***

მეთოდები

სტატია ძირითადად ეფუძნება ე.წ. "სამაგიდო კვლევასთან" დაკავშირებულ მეთოდოლოგიას. გამოყენებულია მეცნიერებაში დამკვიდრებული კვლევის ისეთი მეთოდები როგორიცაა სისტემურობისა და სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდები, კრიტიკული, სიტუაციური და შედარებითი ანალიზი.

გარდა ამისა, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით, ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულია ავტორის მიერ სპეციფიკური პროფესიული გამოცდილების (საქართველოს სპეცსამსახურებში, დარგობრივ სამინისტროებში, სამხედრო სამეცნიერო-კვლევით სფეროში მრავალწლიანი მუშაობა) შედეგად მიღებული ცოდნა, რაც პრაქტიკულად თვისობრივი კვლევის ელემენტებს შეიცავს. კერძოდ, ჩაღრმავებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს იმ პირებთან, რომლებიც ჩართულები არიან ეთნიკურ, რელიგიურ, სამართალდამცავ, სამხედრო და სახელმწიფო უშიშროების საკითხებზე პოლიტიკის წარმოებაში და არასამთავრობო სექტორის იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც მუშაობენ ზემოთ ხსენებული მიმართულებით.

შედეგები და მსჯელობა

შესავალში მოვანილი სქემის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 2018 წლის 15 ივლისს ვაშინგტონში დაკავებული რუსეთის მოქალაქის **მარია ბუტინას (*Мари́я Вале́рьевна Бу́тина*)** საქმე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო „შეთქმულებაში უცხო ქვეყნის აგენტად მუშაობის მიზნით“ ამირიკის მთავრობასთან სათანადო რეგისტრაციის გარეშე. გარდა ამისა მას ბრალად ედებოდა კავშირების დამყარების მცდელობა პირებთან აშშ-ში და იმ ორგანიზაციებში შეღწევა, რომლებსაც გააჩნიათ გავლენა ამერიკის პოლიტიკაზე (Helson, 2018, 14 July) (Новости, 2018) (Insider, 2018).

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საბრალდებო დასკვნის მიხედვით ბუტინა 2015 წლიდან და სულ მცირე 2017 წლის თებერვლამდე მუშაობდა რუსეთის მთავრობის იმ წევრის განკარგულებით, რომელიც წარსულში იყო დეპუტატი, ხოლო შემდგომ დაიკავა მაღალი თანამდებობა რუსეთის ცენტრალურ ბანკში. ამერიკული უწყების ინფორმაციით ხსენებული პიროვნების მიმართ მოქმედებს აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს სანქციები (Helson, 2018, 14 July) (Insider, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ რუსეთის ოფიციალური პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ იქნა დასახელებული, აშშ-ს მედიასივრცეში ვარაუდობდნენ რომ ბუტინა რუსეთის ბანკის ხელმძღვანელის იმჟამინდელ მოადგილესთან ***ალექსანდრე ტორშინთან (Александр Торшин)*** იყო დაკავშირებული და ცდილობდა დაემყარებინა კავშირები ადგილობრივ საიარაღო ლობისთან - ამერიკის მსროლელთა ასოციაციასთან (***NRA - The National Rifle Association***). ტორშინის მხრიდან, ბუტინას მეშვეობით დამყარებული კავშირი ***NRA***-სთან, წარმოჩენილი იყო როგორც პრეზიდენტ ტრამპის და რუსეთის „შეთქმულების“ მტკიცებულება, იმის საფუძველზე, რომ ***NRA*** მხარს უჭერს რესპუბლიკელებს და მათი ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელია (Helson, 2018, 14 July) (Insider, 2018).

ნიშანდობლივია, რომ ზემოთ მოყვანილი პროექტის ძირითადი ორგანიზატორსა და დამფინანსებელის - ტორშინს ფართო კავშირები გააჩნია როგორც რუსეთის პოლიტიკური წრეების და სპეცსამსახურების ისე კრიმინალური სამყაროს უმაღლეს ეშელონებში (მათ შორისაა ე.წ. ტაგანკის დანაშაულებრივ დაჯგუფება - ***Таганская ОПГ***). (Insider, 2018).

ბუტინას საქმის გამოძიების ფარგლებში აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (***FBI***) ესპანელ სამართალდამცავებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია

მათ წარმოებაში არსებული ე.წ. ტაგანკის დანაშაულებრივ დაჯგუფების (***Таганская ОПГ***) მიერ ფულის გათეთრების საქმის შესახებ, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე ტორშინი სქემის ცენტრალური ფიგურაა (Insider, 2018).



რუსეთის თანამედროვე პოლიტიკის კიდევ ერთ თავისებურ და მძლავრ ინსტრუმენტად უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ე.წ. ***„კერძო სამხედრო კომპანიები“ (Имперский легион, Диверсионно-штурмовая разведывательная группа (ДШРГ) „Ру́сич“, частная военная компания „ЧВК Вагнера“, „Редут“, „БАРС“, „Дон“, „Союз добровольцев Донбасса“, ЧВК „Газпрома“: „Поток“, „Факел“, „Пламя“),*** რომლებიც სპეცსამსახურებისა და კრიმინალის ჰიბრიდული წარმონაქმნია. ამ ორგანიზაციებმა „თავი გამოიჩინეს“ რუსეთისგან მხარდაჭერილი რეჟიმების დასახმარებლად უკრაინაში, სუდანში, სირიაში და ვენესუელაში წარმოებულ საომარ მოქმედებებში მონაწილეობით. ნიშანდობლივია ისიც, რომ აშშ-სგან განსხვავებით, სადაც კერძო სამხედრო კომპანია სერიზული ლეგალური ბიზნესია, რუსეთის კანონმდებლობით კერძო გასამხედროებული შეიარაღებული დაჯგუფბისის შექმნა აკრძალულია. თვისობრივად ეს არის უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და სისხლის სამართლის დანაშაულია. რუსეთის ფედერაციის სსკ-ს 359 მუხლით დასჯადია როგორც საომარ მოქმედებებში პირთა უკანონო ჩაბმა, ისე ამ ღონიძიებების დაფინანსება და თავად დაქირავებულის ომში მონაწილეობის ფაქტიც (Free, 2023) (Free, Редут", БАРС, "Дон", "Поток": какие в России действуют ЧВК, кроме "Вагнера", и кто за ними стоит, 2023) (Wordpress, 2018).

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ე.წ. „კერძო სამხედრო კომპანიები“ რეალურად არიან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურების სტრუქტურაში შემავალი შენიღბული დანაყოფები, რომელიც საბოლოო ჯამში მთავრობას ემორჩილებიან. ამ მოსაზრებას სასარგებლოდ ასევე მეტყველებს საომარი მოქმედებების ზონებში ჟურნალისტური გამოძიების წარმოებაზე სპეციალიზირებული ბრიტანული ჯგუფის ***Bellingcat***-ის მიერ აღმოჩენილი მონაცემები, რომლებიც ირიბად ადასტურებენ უკრაინის უშიშროების სამსახურის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული რუსეთის აგენტებზე, რომლებიც სავარაუდოთ „ვაგნერის“-ს წევრები არიან, რუსეთის მოქალაქის პასპორტები გაცემულია მოსკოვის იმ საპასპორტო მაგიდის მიერ, რომელშიც ანალოგიური საბუთები მიიღეს სკრიპალების მოწამვლაში ბრიტანეთის მიერ

ბრალდებულმა ***ალექსანდრე პეტროვმა (Александр Петров) და რუსლან ბოშიროვმა (Руслан Боширов)*** (ორივე შემთხვევაში თანამიმდევრული ნომრების მქონე პასპორტები გაიცემოდა ОУФМС 770-001-ში სადაც საბუთებს გასცემენ ძალოვანი სტრუქტურების, მათ შორის ГРУ-ს თანამშრომლებზე) (Людмила Диденко, 2019) (Bellingcat, 2019) (inforesist, 2019).

ასევე ნიშანდობლივია, რომ ფეისბუქის მფლობელის ***მარკ ცუკერბერგის (Mark Elliot Zuckerberg)*** განცხადებით ყალბი ახალი ამბების გავრცელებაში „რუსული კვალის" აღმოჩენისთანავე მათ გამოძიების ფედერალური ბიუროს (***FBI***) ინფორმირება მოახდინეს და ძირგამომთხრელი სამიანობის გამოსავლენად შემდგომში ერთობლივად მუშაობდენ. ***FBI***-თან თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილი ე.წ. რუსული „ინტერნეტ კვლევების სააგენტო", რომლის მიმართაც აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის მარტში საანქციები დააწესა ასევე ზემოთ ხსენებულ „ვაგნერი"-ს ყოფილ ფორმალურ მფლობელის „პუტინის მზარეულს", პრიგოჟინს ეკუთვნოდა (telecomdaily).

რუსეთის მხრიდან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ქვეყნების შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩარევის კიდევ ერთ მკაფიო მტკიცებულებად შეიგვიძლია ასევე განვიხილოთ ადამ ბადავის (Adam Badawy), ემილიო ფერარასა (Emilio Ferrara,) და კრისტინა ლერმანის (Kristina Lerman) მიერ 2018 წელს ბარსელონაში (ესპანეთი) ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე - „მიღწევები სოცალური ქსელების ანალიზისა და მაინინგის მიმართულებით (ASONAM)" გაკეთებული მოხსენება თემაზე „პოლიტიკური მანიპულაციების ციფრული კვალის ანალიზი: 2016 წელს Twitter-ში რუსული ჩარევის კამპანია" (Badaw A., 2018).

რუსეთის არსენალში ასევე გარკვეული იდეის ან გატაცების ირგვლივ გაერთიანებული სხვადასხვა მოძრაობები და ჯგუფები შედიან, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და განსაკუთრებულად საინტერესო ორგანიზაცი არის ე.წ. ***„ღამის მგლები" („Ночные волки", დაჯგუფების ლიდერი ქართული წარმოშობის ალექსანდრე ზალდასტანოვი მეტსახელად „ქირურგი" (Александр Залдостанов по кличке „Хирург"), თავის თავს პუტინის პირად მეგობარს უწოდებს),*** რომელიც ფორმალურად ბაიკერების კლუბს წარმოადგენს, რეალურად კი იდეოლოგიური იარაღია. საყურადღებოა, რომ ბოლო დროს მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ღამის მგლები" პროპაგანდისტული იარაღიდან შესაძლოა „ვაგნერის კსკ"-ს ტიპის კიდევ ერთ არაფორმალურ საბრძოლო დაჯგუფებად ტრანსფორმირდეს. ამაზე მოწმობს სლოვაკეთში, დასახლებულ პუნქტ დოლნა კრუპას მიდამოებში ***(მდებარეობს სამი ქვეყნის: სლოვაკეთის, ავსტრიის და ჩეხეთის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე)***, „ღამის მგლების" ერთგვარი საწვრთნელი ბაზის გაჩენა, რამაც ქვეყანაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ობიექტი რომელსაც „ღამის მგლების" ყოფნას უკავშირებენ წარმოადგენს ვრცელ შემოღობილ არეალს, სადაც სამხედრო კომუფლიაჟის ფერებში შეღებილი შენობებია განლაგებული. ტერიტორიაზე ასევე არის ანგარები და საკმაოდ დიდი სივრცე რომელზეც სამხედრო და საპოლიციო ტექნიკაა განლაგებული. ობიექტის შესახებ გარკვეულ წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევა სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ გამოქვეყნებული, დრონით გადაღებული სურათები. არსებობს მონაცემები ტერიტორიაზე სასროლეთი მდებარეობის შესახებ, რისი ირიბი დადასტურებაა პრესაში გაჟონილი ცნობები იმის თაობაზე, რომ იქ პრორუსული ორგანიზაციის „სლოვაკელი ახალწვეულები"-ს (***Slovenski Branci,*** პრორუსული გასამხედროებული ორგანიზაცია, რომლის ლიდერმაც ***პეტერ შვრჩეკმა*** სამხედრო მომზადება რუსეთში გაიარა) წევრების წვრთნები გაიმართა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით (Александра Вагнер, 2018).

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ევროპის ქვეყნები, მათ შორის როგორც ყოფილი საბჭოთა ბლოკის წევრები (სლოვაკეთი, ჩეხეთი) ისე ტრადიციულად დასავლური ორიენტაციის სახელმწიფოები (შვეიცარია) ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ პრორუსული სამხედრო-პატრიოტული იდეოლოგიის მატარებელი ორგანიზაციების სახით (Ярослав Надь) (swissinfo.ch, 2018). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია თავად იდეას სავარაუდო მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე იდეოლოგიური საყრდენების შექმნის შესახებ და მისი განხორციელების მეთოდებს დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ, მაგრამ ახალი ტექნოლოგიები მათ დესტრუქციულ შესაძლებლობებს ბევრად ზრდის.

კრემლი საკუთარი პოლიტიკის გატარებისას ფორმალურად დამოუკიდებელი ორგანიზაციებით მანიპულირების პარალელურად, მსოფლიო მასშტაბით ისეთ საქმიანობასაც ეწევა, რომელშიც უფრო მკაფიოდ შეიძლება რუსეთის სპეცსამსახურების ჩართულობის იდენტიფიცირება. ამაზე მოწმობენ უკანასკნელ პერიოდში გახმაურებული დიპლომატიური და ე.წ. „ჯაშუშური“ სკანდალები როგორც აშშ-ი, ისე ევროპაში და პოსტსაბჭოთა სივრცეში (რამდენიმე წლის წინ ***ბელორუსის*** უშიშროების ორგანოების მიერ დაკავებული იქნა პრეზიდენტ ლუკაშენკოს დაცვის ყოფილი უფროსი რომელსაც ბრალად მოსკოვის დავალებით ბელორუსიის პრეზიდენტის ლიკვიდაციის მომზადება ედებოდა (PM, 2019). გავიხსენოთ თუნდაც იგივე კიბერშეტევების, სკრიპალების მოწამვლის და ბუტინას საქმეები. გარდა ამისა 2018 წლის ნოემბერში ***ავსტრიაში*** რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტის (ავსტრიის არმიის პოლკოვნიკი) დაკავების გამო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა. (Insider, Российский разведчик в ранге армейского полковника разоблачен в Австрии. Ожидается заявление канцлера, 2018) (DW, 2018) 2019 წლის თებერვალში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ეჭმიტანილი იქნა მაღალი რანგის სამხდრო მოსამსახურე ***(სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსი კლემენტ ვანდერბორე) ბელგიაშიც*** (Ромашенко, 2019), ხოლო ***საბერძნეთში*** ორი რუსი დიპლომატი უმაღლესი სასულიერო პირის მოსყიდვაში ამხილეს (Диалог.UA, 2018) (Lenta.ru, 2018). 2019 წლის მაისში ნიდერლანდების სამეფოს თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება ГРУ-ს ოთხი ოფიცრის გაშიფვრის შესახებ, რომლებიც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ლაბორატორიაზე კიბერშეტევას ამზადებდნენ (Insider, Западные спецслужбы раскрыли четырех ГРУ-шников, взломавших лабораторию ОЗХО и JIT –, 2018). რუსული გავლენების გამო ***ბრიტანეთმა და ნიდერლანდებმა*** ავსტრიასთან სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლაც კი შეზღუდეს (Insider, Британские и нидерландские спецслужбы ограничили обмен разведданными с Австрией из-за ее связей с Россией, 2018). პარალელურად 2019 წლის მაისში მონტენეგროში სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა (დაუსწრებლად) რუსეთის 2 მოქალაქეს, რომლებიც რუსეთის სამხედრო დაზვევრვის ГРУ-ს თანამშრომლები არიან, მათ ბრალად სახემწიფო გადატრიალების მომზადება ედებოდათ. მათთან ერთად კიდევ 14 ადამიანი იქნა გასამართლებული (ადგილობრივი მოქლაქეები), მათ შორის „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერები, რომლებიც ქვეყნის NATO-ში შესვლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მხარს უჭერდნენ მეგობრობას სერბეთთან და რუსეთთან. გამოძიების ვერსიით გადატრიალება 2016 წლის 16 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო - საპარლამენტო არჩევნების დღეს ***(2006 წელს საქართველოში ანალოგიური ბრალდებით დააკავეს 13 პიროვნება (უშიშროების ყოფილი მინისტრის, იგორ გიორგაძეების მომხრეები)*** (BBC) (Газета.Ru, 2018), (რეხვიაშვილი, 2006).

მიუხედავად იმისა რომ რუსეთი საკმაოდ აგრესიულად მოქმედებს და ყველა რესურს იყენებს მსოფლიოში თავისი გავლენის გაზრდის მიზნით, უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო

თანამეგობრობის მზარდი რეაქცია კრემლიდან მომდინარე საფრთხეებზე იმაზე მეტყველებს, რომ მომავალში მოსკოვს საკუთარი პოლიტიკის გადახედვა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

რაც შეეხება რუსეთის სპეცსამსახურების ყოვლისშემძლეობის მითს, რომელსაც საბჭოთა ფესვები გააჩნია, მას პრაქტიკულად ამსხვრევს უკანასკნელ პერიოდში ჩავარდნილი ოპერაციების სიმრავლე (მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საჯარო სივრცეში, როგორც წესი მხოლოდ დასრულებული და გახმაურებული საქმეები ხვდება) (Word) (Free, 32.В путинских спецслужбах бардак_. Наблюдения экс-разведчика,, 2018). ამავე მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ КГБ-ს „ვირტუოზულობის" მიუხედავად საბჭოთა კავშირმა ცივი ომი მაინც წააგო და მაინც დაიშალა. ამ კუთხით გასათვალისწინებელია ისიც რომ იგივე КГБ-სგან განსხვავებით თანამედროვე რუსული სპეცსამსახურები კრიმინალურ სამყაროს კი არ აკონტროლებენ, არამედ პრაქტიკულად მასთან შეზრდილი არიან, რაც სახელმწიფოებრიობისათვის დამანგრეველია (Insider, День чекиста празднуют все. Прослушки обнаружили связь тамбовской ОПГ с главой СЭБ ФСБ и прокурором Петербурга – The Insider, :, 2018).

დასკვნა

რუსეთის, ხელისუფლება პუტინის მეთაურობით ცდილობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ერთგვარ კოპირებას. ქმნის დასავლური დემოკრატიული ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციების (ევროკავშირი - ***EU***, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი - ***NATO***, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - ***OSCE-Organization for Security and Co-operation in Europe*** და სხვა) ალტერნატიულ გაერთიანებებს (ევრაზიული კავშირი - ***Евразийский экономический союз – ЕАЭС***, კოლელექტიური უშიშროების ორგანიზაცია, იგივე ტაშკენტის პაქტი - ***Организация Договора о коллективной безопасности (ОДКБ), реже «Ташкентский пакт», «Ташкентский договор»***, ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის გაერთიანება - ***BRICS***). აღსანიშნავია, რომ თუ ევრაზიული კავშირი და ***ОДКБ***, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის შედარებით სუსტ ვერსიებს წარმოადგენენ, ***BRICS***-ი გაცილებით საინტერესო და მძლავრი გაერთიანებაა, რომლის წევრებიც, ანალიტიკოსების აზრით, მიისწრაფიან ერთგვარი პოლიტიკური კლუბის შექმნისაკენ და ამგვარად თავიანთი მზარდი „ეკონომიკური ძალაუფლების" „დიდ გეოპოლიტიკურ გავლენად" გარდაქმნისაკენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული გაერთიანების წევრების ხელსაყრელ მდგომარეობას უზრუნველყოფს განსაკუთრებით მძლავრი და განვითარებადი ეკონომიკა და მსოფლიო ეკონომიკისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი რესურსების ფლობა. ოთხი მათგანი (ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ბრაზილია) მსოფლიო ეკონომიკების ათეულში შედიან მთლიანი შიდა პროდუქტისა (Gross Domestic Product - GDP) და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (Purchasing Power Parity - PPP) მიხედვით, ხოლო მათგან სამს (ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი) ბირთვული იარაღი გააჩნია. ამ ქვეყნების ეკონომიკა ძირითადად შემდეგ რესურსებს, ეყრდნობა:

• ბრაზილია - სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიმრავლე;

• რუსეთი - მინერალური რესურსების უმსხვილესი რეზერვები და ყველაზე დიდი ტერიტორია მსოფლიოში, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბირთვული სახელმწიფო;

• ინდოეთი - იაფი ინტელექტუალური რესურსები, მსოფლიოში ყველაზე დიდი მოსახლეობა;

• ჩინეთი - პირველი ექსპორტიორი ("მსოფლიო ქარხანა"), უმსხვილესი სავალუტო რეზერვები და ერთ-ერთ იმ ორი ქვეყნიდან, რომლის მოსახლეობაც მილიარდს აჭარბებს;

• სამხრეთ აფრიკა - მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტისა და PPP-ს მიხედვით, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება (Archive, 2018) (IMF, 2018).

ეკონომიკურ კვლევებზე ორიენირებული ორგანიზაციის Global Economic Group-ის ექსპერტების ერთ-ერთ სტატიაში „ოცნება BRICS-ზე: გზა 2050 წლამდე“ (Dreaming With BRICs: The Path to 2050") გამოთქმული ვარაუდით ბრაზილიამ, რუსეთმა, ინდოეთმა და ჩინეთმა შეცვალეს თავიანთი პოლიტიკური სისტემები რათა მოხვედრილიყვნენ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ ჩინეთი და ინდოეთი ინდუსტრიული საქონლისა და მომსახურების დომინანტი გლობალური მომწოდებლები გახდებიან, ხოლო ბრაზილია და რუსეთი ასევე გახდებიან ნედლეულის დომინანტი მომწოდებლები. ამგვარად, თანამშრომლობა BRICS-ის ფარგლებში ლოგიკური ნაბიჯია, რადგან ბრაზილია და რუსეთი ერთად ლოგიკურად ინდოეთისა და ჩინეთისგან მომწოდებლებს ქმნიან. ამრიგად, BRICS- ს აქვს ძლიერი ეკონომიკური ბლოკის შექმნის პოტენციალი, როგორიცაა G7 ქვეყნები. ბრაზილია დომინანტია სოიოსა და რკინის მადანის წარმოებაში, ამავდროულად რუსეთს აქვს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდების დიდი პოტენციალი. ექსპერტების ამ თეზისების თანახმად სამომხმარებლო საქონელი, სამუშაო, ტექნოლოგიები და კომპანიები აშშ-ს, როგორც ცენტრს, შორდებიან (goldmansachs, 2018)

BRICS-სთან დაკავშირებული პერსპექტივების პარალელურად რუსეთი ჯერ-ჯერობით ახერხებს მის ხელთ არსებული შესაძლებლობების სრული სპექტრის კონსოლიდაციას გამომწვევი და აგრესიული სამეზობლო პოლიტკის გასატარებლად, რაც პერსპექტივაში დასავლეთის ქვეყნების რეაქციის სიხისტის კიოდევ უფრო გაზრდის მომასწავლებელია (სანქციების გაფართოვება და დამძიმება). ამაზე მიუთითებდა ისიც რომ ევროპელ ლიდერებში განსაკუთრებული თავშეკავებულობით და კონსერვატიზმით გამორჩეული ანგელა მერკელიც კი თავის დროზე იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ რუსეთი ახდენს ვითარების დესტაბილიზაციას პოსტსაბჭოთა სივრცეში (DW, Меркель обвинила Россию в дестабилизации постсоветских стран _ Новости из Германии о Европе , 2018). ცივილიზებულ სამყაროსგან უკვე არსებული იზოლაციისა და მისი კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივების ფონზე, საინტერესოა რამდენ ხანს ეყოფა რუსეთს რესურსი თავისი პოლიტიკის ზემოთ აღწერილი ფორმით გასაგრძელებლად? აქ უნდა აღინიშნოს რომ რუსეთის სრული იზოლაცია, სწრაფი ტემპებით მისი დასუსტება და საბოლოო დაშლა დიდ გეოპოლიტიკურ რყევებს გამოიწვევს, რაც საერთაშორისო ურთიერთობების არცერთ ძირითად აქტორს ამ ეტაპზე არ აწყობს.

გამოყენებული ლიტერატურა/References:

Archive. (2018). JOINT SITE OF MINISTRIES OF FOREIGN AFFAIRS OF BRICS MEMBER STATES, :. Получено из https://web.archive.org/web/20170322122341/http://infobrics.org/

Badaw A., F. E. (2018). Analyzing the Digital Traces of Political Manipulation: The 2016 Russian Interference Twitter Campaign. *IEEE/ACM International Conference on Advances in Social Networks Analysis and Mining (ASONAM), .* Barcelona, Spain.

BBC. (б.д.). Двое россиян заочно осуждены за подготовку переворота в Черногории - BBC News Русская служба. Получено из https://www.bbc.com/russian/news-47570113?fbclid=IwAR0QRjmrfMpvVGbjB7_2Kwyrj09Frt52O4T5wRZ3A73O1oM4LMRs0djTx4s

Bellingcat. (2019). Bellingcat_ паспорта ЧВК «Вагнер» и обвиняемых в покушении на Скрипалей выданы одним УФМС. Получено из https://www.forumfreerussia.org/news/2019-02-08/bellingcat-pasporta-chvk-vagner-i-obvinyaemyh-v-pokushenii-na-skripalej-vydany-odnim-ufms

DW. (09 11 2018 г.). В Австрии раскрыт агент российской военной разведки _ Новости из Германии о Европе . Получено из https://www.dw.com/ru/%D0%B2-%D0%B0%D0%B2%D1%81%D1%82%D1%80%D0%B8%D0%B8-%D1%80%D0%B0%D1%81%D0%BA%D1%80%D1%8B%D1%82-%D0%B0%D0%B3%D0%B5%D

DW. (2018). Меркель обвинила Россию в дестабилизации постсоветских стран _ Новости из Германии о Европе . Получено из https://www.dw.com/ru/%D0%BC%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B5%D0%BB%D1%8C-%D0%BE%D0%B1%D0%B2%D0%B8%D0%BD%D0%B8%D0%BB%D0%B0-%D1%80%D0%BE%D

Free, R. (2018). 32.В путинских спецслужбах бардак_. Наблюдения экс-разведчика,. Получено из https://www.svoboda.org/a/29540259.html?fbclid=IwAR0TdU8FXunPYAbutItV6lA91w31-CwuEJ9P1hqbZk15O_kvV-6Wha1__9w

Free, R. (2023). Лаборатории смерти. "Частные" армии России будущего. Получено из https://www.svoboda.org/a/laboratorii-smerti-chastnye-armii-rossii-buduschego-/32418580.html

Free, R. (2023). Редут", БАРС, "Дон", "Поток": какие в России действуют ЧВК, кроме "Вагнера", и кто за ними стоит. Получено из https://www.currenttime.tv/a/russian-private-military-companies/32422559.html

Gelashvili, P. (2022). Interests of Foreign Countries in the Regions of Georgia Populated by Ethnic Minorities and their Impact on Demographic Situation and Stability in the South Caucasus. *16, #1, 2022 BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 1*.

Gelashvili, P. (2024). Impact of Cultural Civilization Component on National Security and Geopolitical Stability Examplified by Ethnic Minorities of Georgia. *saqarTvelos mecnierebaTa erovnuli akademiis moambe*.

goldmansachs. (2018). Dreaming With BRICs: The Path to 2050,. Получено из https://www.goldmansachs.com/insights/goldman-sachs-research/brics-dream

Helson, K. (2018, 14 July). *In the matter of an application for a criminal complaint for Mariia Butina, also known as Maria Butina".* United States Department of Justice.

IMF. (2018). Report for Selected Country Groups and Subjects (PPP valuation of country GDP)". . Получено из https://www.imf.org/en/Publications/SPROLLs/world-economic-outlook-databases#sort=%40imfdate%20descending

inforesist. (2019). Петров и Боширов - спецагенты_ появились доказательства. Получено из https://inforesist.org/petrov-i-boshirov-spetsagentyi-poyavilis-dokazatelstva/?fbclid=IwAR24vT37ONfk2ZF5b8_FJQH3L1GWn_v5cyeKL5WmMUsDJMcr6nfKTKR

Insider, T. (2018). Британские и нидерландские спецслужбы ограничили обмен разведданными с Австрией из-за ее связей с Россией. Получено из https://theins.ru/news/151007?fbclid=IwAR08szHSTnogyAmrpSXP1WMBrCaDsJAH0suvL-uKCrCQ0wDSug9HTe83Gr8

Insider, T. (2018). День чекиста празднуют все. Прослушки обнаружили связь тамбовской ОПГ с главой СЭБ ФСБ и прокурором Петербурга – The Insider, :. Получено из https://theins.ru/korrupciya/132932?fbclid=IwAR1DLd243a_vYI7ObholrcVDxoZKBLfkPxAOfkQxEZwabr51_YD2ZiYalj4

Insider, T. (2018). Западные спецслужбы раскрыли четырех ГРУ-шников, взломавших лабораторию ОЗХО и JIT –. Получено из https://theins.ru/news/120447?fbclid=IwAR1xnrXYEa5tFicj1EsFK-0KkJf-e8PqdGKAAHuFxHIx09LfjPqe6I5rxFE

Insider, T. (20 07 2018 г.). Не просто Мария_ как зампред ЦБ Торшин заслал помощницу в штаб Трампа и чем он занимался в Таганской ОПГ. Получено из https://theins.ru/politika/110495?fbclid=IwAR0bb2XvP1MReBhhqvQN3fzSJjswm9CdALLKmrBAIFCHtbw4pyLvVXdBT4c

Insider, T. (9 November 2018 г.). Российский разведчик в ранге армейского полковника разоблачен в Австрии. Ожидается заявление канцлера.

Lenta.ru. (2018). Греция вышлет двух российских дипломатов. Получено из https://lenta.ru/news/2018/07/11/greece/?fbclid=IwAR3omv6lpedGZA13GCFKVYZ3LtqPWTpjT9Bxyr1wbULA3ld2N1yTnYSAOgA

swissinfo.ch, S. (2018). Москва обучает в Швейцарии группы боевиков_ -. Получено из https://www.swissinfo.ch/rus/politics/%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B0-%D0%B8-%D1%81%D0%BF%D0%B5%D1%86%D1%81%D0%BB%D1%83%D0%B6%D0%B1%D1%8B_%D0%BC%D0%BE%D1%81%D0

telecomdaily. (б.д.). Цукерберг ухватился за «русский след. Получено из https://telecomdaily.ru/news/2018/07/19/cukerberg-uhvatilsya-za-russkiy-sled

Word, N. R. (б.д.). Провалы российских спецслужб в 2018 году (анализ полковника ВС РФ Александра Глущенко), :. Получено из https://www.youtube.com/watch?v=7Hibf_61Fzg&feature=share

Wordpress. (2018). ЧВК Вагнера _ Путинизм. Получено из https://putinism.wordpress.com/2018/03/02/wagner/?fbclid=IwAR2bNCEqIdUPmcbNA-GNcPuCICImAE4DvSza2eyN6ddJBvK-GJ-nuy1zhwY

Александра Вагнер, R. F. (2018). "Словацкие новобранцы". Получено из https://www.svoboda.org/a/29496600.html

Валерий, Г. (2013). Герасимов Валерий Ценность науки в предвидении Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий 26 февраля. Russia. Получено из https://vpk.name/news/85159_cennost_nauki_v_predvidenii.html

Газета.Ru. (2018). В Черногории вынесли приговор двум россиянам за попытку госпереворота.

Диалог.UA. (2018). Жесткое обращение МИД Греции к Кремлю_ _Хотите _войны_ - вы ее получите, наш народ готов дать отпор. Получено из https://www.dialog.ua/russia/157935_1533980632

Людмила Диденко, І. (2019). СБУ поймала семерых российских агентов, которые совершали теракты _ Новости Украины,. Получено из https://inforesist.org/sbu-pojmala-semeryh-rossijskih-agentov-kotorye-sovershali-terakty/?fbclid=IwAR2moRm2O2QZVUE0N7cZWt6i7U6YggLzlYoD4lLuxBERynY49jNMTuw

Новости, Р. (16 07 2018 г.). В США задержана россиянка по подозрению в шпионаже . Получено из https://ria.ru/20180716/1524731496.html?fbclid=IwAR35fiVJOmgwQiYFO0KEj-kP1wZ0AaviFUjBTNV2qgrXBMH6Fd2hzYt_wzA

РМ. (30 April 2019 г.). Арестованный экс-глава охраны Лукашенко готовил покушение на «Батьку» по приказу из Москвы. Версия - Русский Монитор.

Ромашенко, С. (2019). Главу контрразведки Бельгии заподозрили в шпионаже на РФ. Получено из https://www.dw.com/ru/%D0%B3%D0%BB%D0%B0%D0%B2%D1%83-%D0%BA%D0%BE%D0%BD%D1%82%D1%80%D1%80%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B5%D0%B4%D0%BA%D0%B8-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8C%D0%B3%D0%B8%D0%B8-%D0%

Ярослав Надь, R. F. (б.д.). Чехословацкий корпус Кремля - LRT. Получено из https://www.lrt.lt/ru/novosti/38/121221/chehoslovackij-korpus-kremlja

რეხვიაშვილი, ჯ. (2006). საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის, ძებნაში მყოფი იგორ გიორგაძის მომხრეთა ერთი ნაწილი კვლავ პატიმრობაში რჩება. . Получено из https://www.radiotavisupleba.ge/a/1548564.html